საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 831
13/05/2021

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების (მეორადი მასალა) ჩამოწერის და ელ-აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილების და სსიპ-თვითმმართველი თემის საჩხერის მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 თებერვლის N9 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ", საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N54 36 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის N54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 აპრილის N53 761 ბრძანების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ჩამოიწეროს ბალანსზე აღრიცხული „ხარჯში ჩამოსაწერი ქონება" (მეორადი მასალა), მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების და მატერიალური ფასეულობების (მარაგების) ჩამოწერის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის შესაბამისად (დანართის მიხედვით).

2. ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებული იქნეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ზომისა და დასახელების მეორადი რკინა ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქცია (15 ცალი ბეტონის (ცოკოლის ბლოკი), 11 ცალი რკინა ბეტონის (წყლის შემაკავებელი) კონსტრუქცია, 4 ცალი ბეტონის განაპირა მალის ფილა (L=18მ) და 6 ცალი ბეტონის შუალედური მალის ფილა (L=16 მ).